თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

გოჩიაშვილი მარი

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა რუსული ოკუპაციის პირობებში

წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო

ავტორი: მარი გოჩიაშვილი /..... /

ნაშრომის საიდენთიფიკაციო ნომერი: /...../

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გოჩიაშვილი მარის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: **„საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა რუსული ოკუპაციის პირობებში“** და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ-მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი: ... სექტემბერი, 2021 წელი

ხელმძღვანელი: /...../

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი: /...../

რეცენზენტი: /...../

რეზიუმე

უსაფრთხოება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, პატარა ქვეყნისთვის რთულად მოსაპოვებელი. ქვეყნის ჯანსაღი განვითარებაც პირველ რიგში უსაფრთხოებით იწყება. რუსული ოკუპაციის კვალდაკვალ კიდევ უფრო იზრდება უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება საქართველოსთვის. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილური განვითარებისთვის გარანტი.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება მეტად აქტუალურ საკითხს-საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, რუსული ოკუპაციის პირობებში. მასში აღწერილია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის არსი, რაობა და მნიშვნელობა. ნაშრომი ასევე მოიცავს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორიას და განვითარების სხვადასხვა ეტაპებს.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესალის, ოთხი თავის, ქვეთავებისა და დასკვნისაგან. მოიცავს სულ 54 თაბახის ფურცელს. დასასრულს მითითებულია ბიბლიოგრაფია, რომელშიც წიგნებისა და სტატიებს გარდა მითითებულია სახელმწიფო ოფიციალური დოუმენტები, სოციალურ ქსელებში და ტელევიზიებში განთავსებული მასალები.

პირველი თავი ეხება ალიანსს. აღწერილია როდის, როგორ და რატომ შეიქმნა ის, რა არის მისი ზოგადი პოლიტიკა. ასევე, ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, რომ დასავლურ ოჯახში გაწევრიანება ქვეყნის ერვნული ინტერესია, რაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც (2018) არის აღნიშნული.

მეორე თავი მოგვითხრობს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთ ეტაპობრივ გაფართოებაზე, მის მნიშვნელობაზე და ცოტას საქართველოზეც, რომელიც, სამწუხაროდ, ნატოს ამ აღმოსავლეთ გაფართოების ტალღაში ვერ მოხვდა. ამ თავშივე აღწერილია ის მრავალწლიანი ურთიერთობა, რაც ნატო-ს და საქათველოს აკავშირებთ. ასევე ხაზგასმულია თანამშრომლობის

მექანიზმები, მნიშვნელოვანი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც ნატო-ს ეგიდით ხორციელდება საქართველოში.

მესამე თავში განხილულია ბუქარესტის 2008 წლის სამიტი, როგორც საქართველოსთვის ხელიდან გაშვებული შანსი, რომელსაც წინ კოსოვოს მოვლენები უსწრებდა. მოყვანილია ექსპერტების ნააზრევი. ასევე, გადმოცემულია კრემლის პოზიციები ამ მოვლენების კვალდაკვალ.

მეოთხე თავი დათმობილი აქვს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა პერსპექტივა არსებობს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისა, რუსული ოკუპაციის პირობებში. ამავე თავში განხილულია უსაფრთხოების ექსპერტებისა და კონკრეტული პიროვნებების მოდელები, ინიციატივები და რეკომენდაციები საკვლევი თემის შესახებ, რომლებიც გამყარებულია კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

დასკვნაში ჩამოყალიბებულია კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგი, აღნიშნულია, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა უდაოდ არსებობს, მთავარია რა გაკეთდება ამ პერსპექტივის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად. შეჯამებაში ასევე ნათქვამია რეკომენდაციებისა და სამომავლო განსახორციელებელი ნაბიჯების შესახებ, რომელიც პირველ რიგში მოიაზრებს ალიანსში გაწევრიანების საკითხის ფორსირებას, პოლიტიკური ნების არსებობას. უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჯანსაღი ფუნქციონირება, სამხედრო რეფორმების აქტიურად გატარება, საგარეო არენაზე აქტიურობა, ნატოს სტანდარტების გათვალისწინება და დაახლოება ყველა სფეროში, რუსული ჰიბრიდული ომის მოგერიება-თავდაცვისუნარიანობის გაზრდა.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩემი ნაშრომი იკვლევს საკითხს, რომელიც უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების პრობლემის უსრუნველსაყოფად არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სრულიად მსოფლიოსთვის. განხორციელებულმა კვლევამ, რომელიც დაფუძნებულია რეალურ ფაქტებსა და პრეცედენტებზე, ნათლად დაგვანახა, რომ არსებობს რეალური პერსპექტივა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების რუსული ოკუაციის ფონზე.

აღნიშნული ნაშრომი, უსაფრთხოების ექსპერტ-ანალიტიკოსების მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, გვაძლევს საშუალებას

ნათლად დავინახოთ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესაძლო გზა, რომელიც ასევე გამომდინარეობს რეალური შესაძლებლობებიდან. საქართველო, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს იმ პროცესებში, რაც ნატო-ს ღია კარის პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს პოლიტიკური ნება, რომელის უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის ევრო ატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

REZUME

Security is important for any state, however, difficult to obtain for a small country. The healthy development of the country also starts with security in the first place. In the wake of the Russian occupation, the need for security for Georgia is growing. Joining the North Atlantic Alliance is a guarantee for the security and stable development of our country.

The master's thesis deals with a very topical issue - Georgia's membership in NATO in the conditions of Russian occupation. It describes the essence, nature and significance of the North Atlantic Treaty Organization. The paper also covers the history of NATO-Georgia cooperation and various stages of development.

The master thesis consists of an introduction, four chapters, subsections and a conclusion. Includes a total of 54 sheets of paper. At the end is a bibliography, which, in addition to books and articles, lists official state documents, materials posted on social networks and television.

The first chapter deals with the Alliance. Describes when, how and why it was created, what its general policy is. Also, its importance for Georgia is emphasized, that membership in the Western family is the national interest of the country, which is also mentioned in the concept of national security of Georgia (2018).

The second chapter tells us about the gradual enlargement of the North Atlantic Alliance, its importance and, to a lesser extent, Georgia, which, unfortunately, did not catch up with NATO in this wave of eastern expansion. This chapter describes the long-standing relationship between NATO and Georgia. It also highlights the mechanisms of

cooperation, important programs and events implemented under the auspices of NATO in Georgia.

he third chapter discusses the 2008 Bucharest Summit as a missed opportunity for Georgia, preceded by the events in Kosovo. The opinion of experts is given. Also, the positions of the Kremlin in the wake of these events are presented.

The fourth chapter is devoted to discussing the prospects of Georgia's membership in NATO in the conditions of Russian occupation. The same chapter discusses models, initiatives, and recommendations of security experts and specific individuals on a research topic based on specific examples.

The report sets out the results obtained based on the research. It is noted that the prospect of Georgia's membership in NATO undoubtedly exists. The important thing is what will be done to maintain and enhance this perspective. The summary also mentions the recommendations and the steps to be taken in the future, which primarily consider forcing the issue of joining the Alliance, the existence of political will. The most important thing is the healthy functioning of democratic institutions in the country, active implementation of military reforms, activity in the foreign arena, compliance with NATO standards in all areas, repulsion of the Russian hybrid war - increase defense capabilities.

Due to the urgency of the topic, my paper explores an issue that is crucial to ensure a security problem not only for Georgia but for the world as a whole. The research, which is based on real facts and precedents, has clearly shown that there is a real prospect of Georgia's membership in NATO in the conditions of Russia's occupation.

This paper, based on the views and recommendations of security experts-analysts, allows us to clearly see the possible path of Georgia's membership in NATO, which also stems from the real opportunities. Georgia, as a NATO aspirant country, actively participates in the processes that are carried out within the framework of

NATO's open door policy, but it should also be noted that political will is important for our country's path to Euro-Atlantic integration.

შინაარსი

1. შესავალი.....9
2. თავი 1 - საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი - ნატო.....12
   1.1 ნატო და მისი ზოგადი პოლიტიკა.....12
   1.2 ნატო-დემოკრატია და უსაფრთხოების ქოლგა.....16
   1.3 დასავლურ ოჯახში გაწევრიანება- ქვეყნის ეროვნული ინტერესი....18
3. თავი 2 - ნატოს გაფართოება.....20
   2.1 ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და მისი მნიშვნელობა.....20
   2.2 საქართველო როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყანა.....22
4. თავი 3 - აგვისტოს ომი-რევიზიონისტული რუსეთი.....32
   3.1 ბუქარესტის სამიტი და 2008 წლის აგვისტოს ომი-ხელიდან გაშვებული შასი.....32
   3.2 რუსეთის პოზიციები.....36
5. თავი 4 - არგუმენტირბული მსჯელობა წინა თავებზე დაყრდნობით საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებზე რუსული ოკუპაციის პირობებში.....40
6. დასკვნა.....48
7. გამოყენებული ლიტერატურა.....52

შესავალი

დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს ნატო-საქართველოს ურთიერთობები, ვინაიდან, რუსული ოკუპაციის პირობებში, ჩვენი ქვეყნის განვითარება და უსაფრთხოება სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას. ამიტომაც საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ნატოში გაწევრიანება პარადოქსია, თუმცა იმ ადამიანების რიცხვი გაცილებით მეტია, ვინც ამ საკითხს რეალურად აღიქვამს და ღრმად სწამს საქართველოს წარმატების, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

როგორც ისტორიული წყაროები იუწყება, საქართველო მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა და იბრძვის თავისუფლებისთვის (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით). იყო არაერთი დამპყრობელი, რომელთანაც თავგანწირვით იბრძოდა ჩვენი ქვეყანა. ასევე, ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ხნის

განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ვიყავით. მიუედავად იმისა, რომ საქართველო დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ჩვენი ქვეყნის 20% არის რუსეთისგან ოკუპირებული, ხოლო მცოცავი ანექსია ისევ გრძელდება.

საქართველოში დღევანდელ ვითარებას თუ გადავხედავთ, მტერი, ოკუპანტი, ჰეგემონია, ომი და სხვა მსგავსი სიტყვები უარყოფითად ასოცირდება რუსეთის ფედერაციასთან. ნათელია, რომ „იმპერიას“ გადაწყვეტილი აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე კონტროლის დამყარება, რისთვისაც ძალ-ღონეს არ იშურებს.

რუსეთი იყენებს როგორც ხისტ ძალას, ასევე რბილ ძალას იმისათვის, რომ დაიბრუნოს ძველი „დიდება“. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ საქართველოში დღესაც გრძელდება მცოცავია ანექსია, ოკუპანტები იტაცებენ ადამიანებს, უკანონოდ აპატიმრებენ და აწამებენ მათ.

ნაშრომი აქტუალურია, რადგან იგი ეხება საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისა და უსაფრთხოების საკითხს. უსაფრთხოება კი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უპირველესად მნიშვნელოვანია. მითუმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა. აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უსაფრთხოება, არამე ქვეყნის ჯანსაღი განვითარება, რისი მიღწევაც საქართველოს მხოლოდ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზით შეუძლია. ამას ადასტურებს ის გზა, რაც გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობიდან დღემდე. რუსული მარწუხების პირობებში, ბევრჯერ დადგა ჩვენი ქვეყანა

სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის ქვეშ, ამიტომაც საჭირო გახდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხორციელება.

ნაშრომში გამოყენებული მაქვს თვისობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი კონტენტ-ანალიზი, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ინფორმაციული სივრციდან ანალიზის გაკეთებას და წამოჭრილი ვარაუდების თუ მოსაზრებების დასაბუთებას.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი საკითხია ის, თუ რამდენად რეალურია ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესვლა და ნატოში გაწევრიანების რა პერსპექტივა არსებობს რუსეთის ოკუპაციის პირობებში. სწორედ ამ კითხვებზე პასუხების ძიებას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ასევე განიხილავს ექსპერტებისა და დიპლომატების მოსაზრებებს, ვარაუდებს, დაშვებებს, ინიციატივებს და რეკომენდაციებს. მათი ნააზრევი გარკვეული დასკვნებისა და პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა.

თავი 1- საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი - ნატო

1.1 ნატო და მისი ზოგადი პოლიტიკა

რა არის ნატო? - ნატო - ეს არის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს. იგი დაარსდა 1949 წლის 4 აპილს. ნატოს ყველა წევრი ქვეყანა არის სუვერენული და დამოუკიდებელი. ალიანსში გადაწყვეტილებების მიღება ხდება შეთანხმების და წევრი საელმწიფოების ინტერესების გათვალისწინების შედეგად. თითოეული სახელმწიფოს გამოხატული პოზიცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში

თანასწორუფლებიანია მიუხედავად მათი ტერიტორიული სიდიდისა თუ სამხედრო-ეკონომიკური ძლიერებისა. ჩრდილოატლანტიკური საბჭო კი არის ის ძირითადი ორგანო სადაც ხდება კონსესუსების მიღწევა. შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური საბჭო იკრიბება გადაწყვეტილების მისაღებად სამიტებზე, სადაც მონაწილეობას იღებენ:

1. ელჩები
2. მინისტრები
3. სახელმწიფო მეთაურები

ნატო არ არის შექმნილი მხოლოდ უსაფრთოების უზრუნველსაყოფად, ის არის ორგანიზაცია, რომელიც დემორატიულ პრინციპებზე, ღირებულებებსა და თავისუფლებაზეა დაფუძნებული.[1]

როგორ/რატომ შეიქმნა ნატო? – როდესაც ვსაუბრობთ ნატოს შექმნაზე, აუცილებლად თვალი უნდა გადავავლოთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს. ეს იყო პერიოდი, როდესაც ევროპა ორ ნაწილად გაიყო და ეჭვქვეშ დადგა ევრო ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ბედი. ევროპისთვის სამი მოკავშირე ქვეყნის გამარჯვება უნდა ყოფილიყო გარანტი მშვიდობის, სტაბილურობის და განვითარების. თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. საბჭოთა კავშირის ჰეგემონიური ბუნებიდან გამომდინარე ეს მოსალოდნელიც იყო. საბჭოთა კავშირს სურდა ფაშიზმის კომუნისტური დიქტატურით ჩანაცვლება ევროპაში, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ის სულაც არ ჩქარობდა სამხედრო

[1]საინფორმციო ცენტრი საქართველო და ნატო
http://old.infocenter.gov.ge/nato-structure/#1

ძალების და მოსამსახურეების შემცირება/გაყვანას ევროპის კონტინენტიდან. მეტიც, მან დაიკავა ევროპის ქვეყნებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილები. მოახდინა ამ ტერიტორიების ოკუპაცია. კერძოდ დაიკავა გერმანიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და უნგრეთის ტერიტორიები. ამის გარდა, საბჭოთა კავშირს უნდოდა დაემკვიდრებინა საკუთარი იდეოლოგია იმ ევროპის ქვეყნებში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიისადმი კეთილგაწყობა მკვეთრად იგრძნობოდა.[2]

სწორედ ამ საფრთხის შესახებ პირველად უინსტონ ჩერჩილმა ისაუბრა საკუთარი ლექციის მიმდინარეობისას (1945 წელი, 5 მარტი, ფულტონი, ვესტმისტერის კოლეჯი): „არავინ იცის, თუ რის გაკეთებას აპირებს საბჭოთა რუსეთი და მისი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია უახლოეს მომავალში, ან როგორია მათი ექსპანსიონისტური მისწრაფებბების საზღვრები, თუკი ისინი არსებობენ“.[3]

ნატოს შექმნას ამ დაძაბულობის ფონზე საფუძველი ჩაუყარა „ბრიუსელის პაქტმა“, რომელსაც ხუთმა ქვეყანამ მოაწერა ხელი: დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა, ნიდერლანდებმა და ბელგიამ. მათი მიზანი იყო ერთიანი თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბება, თანამშრომლობა და უსაფრთხო გარემოს შემნა. ამ ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ რამდენიმე ქვეყანასთან: კანადა, აშშ, დანია,

[2] საინფორმციო ცენტრი საქართველო და ნატო
http://old.infocenter.gov.ge/nato-history/#1
[3] Churchill Winston, The Sinews of Peace (Iron Curtain Speech), Westminster College, Fulton, Missouri March 5, 1946,
https://winstonchurchill.org/the-life-of-churchill/life/why-study-winston-churchill/

იტალია, ნორვეგია, ისლადია და პორტუგალია... მოლაპარაკებების შედეგად, მათ ერთობლივად მოაწერეს ხელი ვაშინგტონის ხელშეკრულებას (1949 წლის 4 აპრილი). ასე შეიქმნა ჩრდილო ატლანტიკური საერთაშორისო ორგანიზაცია, სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი - **ნატო**, რომელმაც შეძლო მიეღწია სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ჩრდილო ატლანტიკურ სივრცეში. ეტაპობრივად ნატოს შეუერთდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები. დღესდღეობით სამხედრო - პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანებულია 30 ქვეყანა. ესენია: ბელგია, კანადა, დანია, საფრანგეთი, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები (1949); თურქეთი, საბერძნეთი (1952); გერმანია (1955); ესპანეთი (1982); ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი (1999); ბულგარეთი, ესტონეთი, ლიეტუა, ლატვია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია (2004); ალბანეთი, ხორვატია (2009); მონტენეგრო (2017); ჩრდილოეთ მაკედონია (2020).[4]

რა არის ნატოს ზოგადი პოლიტიკა? - ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ზოგადი პოლიტიკა თავიდანვე განისაზღვრა. მსოფლიო დადგა ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე როგორიცაა უსაფრთხოება. ამიტომ საჭირო გახდა კოლექტიური თავდაცვისა და

[4] North Atlantic Treaty Organization

https://www.nato.int/nato-welcome/index.html

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც იყო და არის ნატოს მთავარი ამოცანა. სწორედ ესაა განმსაზღვრელი ალიანსის ზოგადი პოლიტიკის, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაარსებიდან დღემდე ამ ორგანისაციაში განხორციელდა არაერთი რეკონსტრუქცია სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

ნატო აწარმოებს ღია კარის პოლიტიკას, რაც გამოიხატება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ: „მხარეებს კონსენსუსის გზით შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც შესწევს უნარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებას შეუწყოს ხელი და შეიტანოს წვლილი ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მოწვეული ქვეყანა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მხარე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის მიერთების შესახებ დოკუმენტის გადაცემით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს“.[5]

1.2 ნატო - დემოკრატია და უსაფრთხოების ქოლგა

[5] საინფორმციო ცენტრი საქართველო და ნატო
http://old.infocenter.gov.ge/70-chrdiloatlantikuri-khelshekruleba.html

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანას აქვს სერიოზული პრობლემები უსაფრთხოების საკითხებში. აღნიშნული ვითარება გამოწვეულია 90 - იანი წლების დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შიდა დაპირისპირებებით და ომით, რომელშიც მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ითამაშა რუსეთმა, რომლის ხელშეწყობით და წახალისებით მოხდა საქართველოს ორ რეგიონში სამხედრო დაპირისპირება, რის შედეგადაც საქართველომ დაკარგა ფაქტობრივი კონტროლი აფხაზეთში და სამაჩაბლოში, ამას მოყვა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი და საბოლოოდ რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობის გამოცხადება. დღეს, 11 წლის შემდეგ რუსეთმა ამ ორ რეგიონში განალაგა სამხედრო ბაზები და ფაქტობრივად მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20 %-ის ოკუპაცია. სამხედრო აგრესიის გარდა 90-იანიწლებიდან, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომში და შემდგომ რუსეთი აწარმოებს ჰიბრიდულ ომს, დეზინფორმაციის გავრცელების მეშვეობით ცდილობს საქართველოს დასავლური ვექტორის შეცვლას და ქვეყანაში შიდა დაპირისპირების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში დესტაბილიზაციას, დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტებას და ქვეყნის განვითარების კურსის შენელებას.

როგორც სახელმწიფო დოკუმენტებშია ასახული, საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია გულისხმობს საქართველოს როგორც ერთიან, დემოკრატიულ, განვითარებულ და უსაფრთხო სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ,

ქვეყანაში არსებული ოკუპაციის პირობებში, უმნიშვნელოვანესია საგარეო პოლიტიკური ვექტორი მიმართული იყოს ევროპული და ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციისკენ, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ერთიანი ევროპის ოფიციალური სტატუსის მიღება არის მდგრადი ეკონომიკის და უსაფრთხოების გარანტი. ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში შესვლა გულისხმობს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, მართლმსაჯულების და დემოკრატიის მაღალ ხარისხს, ანუ, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ღირებულებების დაცვას.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა იყოს დაცული, საჭიროა უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ყოფნა - ნატოში გაწევრიანება. ფაქტია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულია საქართველოს 20% და არსებობს მუდმივი საფრთხე რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია კონფლიქტის გაღვივების გარეშე.

1.3 დასავლურ ოჯახში გაწევრიანება - ქვეყნის ეროვნული ინტერესი

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია - ეს არის ის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შედის საქართველოს ეროვნულ ინტერესებში და რომელიც გაწერილია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში (2018).[6] უფრო კონკრეტულად, ამავე დოკუმენტში, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება.

დღესდღეობით საქართველოს მიერ წარმოებული პოლიტიკა, ისევე როგორც ბოლო წლებში, ერთი მხრივ არის მიმართული ევროინტეგრაციაზე, თუმცა არ ხდება მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა და აქტიური „მესიჯების" გაგზავნა. მეორე მხრივ ტარდება რუსეთის „არგაღიზიანების" პოლიტიკა, რომელიც ქვეყნისთვის არაფრის მომცემია, მეტიც, უფრო დამაზიანებელია ქვეყნის დასავლური კურსისთვის, არ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და გრძელდება მცოცავი ოკუპაცია. აქედან გამომდინარე, საჭიროა ეფექტური პოლიტიკის გატარება, რადგან მოხდეს არსებული საფრთხეების განეიტრალება. უნდა მოხდეს დასავლეთისკენ ინტეგრაციის პოლიტიკის ფორსირება ჩვენივე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთისგან მომდინარე საფრთხე არსებობს და რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკის მიუხედავად ხდება საქართველოს ინტერესების რუსეთის მიერ ფეხქვეშ გათელვა, მცოცავი ანექსიის გაგრძელება, კიდევ ერთხელ გავმეორდები და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აუცილებელია

[6] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კნცეფცია https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

უალტერნატივოდ მოხდეს დასავლეთთან, ნატო-სთან პოლიტიკის ფორსირება, რაც იქნება გარანტი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სამომავლო დეოკუპაციის.

თავი 2 - ნატოს გაფართოება

2.1 ნატოს აღმოსავლეთ გაფართოება და მისი მნიშვნელობა

სანამ ნატოს აღმოსავლეთ გაფართოებას განვიხილავ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ვითარება რაც წინ უძღვოდა სამხედრო - პოლიტიკური ალიანსის გაფართოების ეტაპებს.

1987 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეიდენტმა, საბჭოთა კავშირის ლიდერს, გორბაჩოვს მიმართა. რეიგანმა გორბაჩოვს ბერლინის კედლის დანგრევისკენ მოუწოდა. ამ გამოსვლიდან ორ წელიწადში, 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედელი დაინგრა, ორად გაყოფილი გერმანია გაერთიანდა. აღნიშნულმა ფაქტმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლას. 1991 წლის 8 დეკემბერს გორბაჩოვი კრემლს ტოვებს. სწორედ ამ წელს საბჭოთა კავშირი დატოვეს რუსეთმა, ბელორუსმა და უკრაინამ, რის შემდეგაც გორბაჩოვმა დსთ-ს შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა. სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია რუსეთის ფედერაციის დასუსტება, თანაც იმ დროს, როდესაც ნატო ძალებს იკრეფდა. საქართველო კი, ამ ვითარებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების გარანტიების ძიებას ევრო-ატლანტიკურ არეალში ცდილობდა. 1992 წელს შედგა ნატო - საქართველოს პირველი კავშირი. ამავე წელს ჩვენი ქვეყანა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შეუერთდა.[7]

ნატოს პირველი აღმოსავლეთ გაფართოება მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის რვა წლის შემდეგ, როდესა, 1999 წლის 12 მარტს ნატოში პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი გაწევრიანდა. 2004 წელს კი ბალტიის და

[7]საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი

https://www.facebook.com/watch/?v=2230989957160312

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: ლიეტუა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი შეუერთდნენ ნატოს რიგებს.[8]

საქართველო ამ დროს მზად არ იყო ალიანსის წევრობისთვის და სამწუხაროდ ნატოს აღმოსავლეთ გაფართოების სფეროში ვერ მოხვდა. იმდროინდელი თავდაცვის მინისტრისა და ექსპერტების აზრით, მაშინ საქართველო არ აღიქვამდა თავის თავს ნატოს ნაწილად და ანალოგიურად არც ნატო - საქართველოს. მათი აზრით, როდესაც ეს შესაძლებლობების ფანჯარა გაიღო, საქართველო დაკავებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული უმწვავესი პრობლემების გადაჭრით, როგორიც იყო სამოქალაქო ომი, რუსეთისგან მხარდაჭერილი სეპარატისტული ჯგუფები და სხვა... მოხდა ქვეყნის განვითარების შეჩერება და უკან დახევაც კი რამდენიმე წლით.[9]

ნატოს შემდგომი აღმოსავლეთ გაფართოება მოხდა 2009 წელს, როდესაც ალბანეთი და ხორვატია შეუერთდა ალიანსს. ბოლო აღმოსავლეთ გაფართოება იყო 2017 წლის 5 ივნისს.[10] ეს ქვეყანა კი გახლდათ მონტენეგრო, რომელიც ალიანსისთვის მნიშვნელოვანი საყრდენია აღმოსავლეთ ბალკანეთში. მონტენეგროს ნატო-ში გაწევრიანება კიდევ ერთხელ გვაძლევს იმედს და

[8] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო https://old.infocenter.gov.ge/nato-enlargement/?fbclid=IwAR3fApxViTHfAUadbX7uCDu24rJBpaR9pGhLh5NDYCFEaEjL0wiDqPC66_0

[9] საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი https://www.facebook.com/watch/?v=2230989957160312

[10] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო-https://old.infocenter.gov.ge/nato-enlargement/?fbclid=IwAR3fApxViTHfAUadbX7uCDu24rJBpaR9pGhLh5NDYCFEaEjL0wiDqPC66_0

გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ნატო-ს კარი საქართველსთვის ჯერ კიდევ ღიაა.

ნატოს აღმოსავლეთით საზღვრების გაზრდით უკმაყოფილო იყო და არის იმპერიალისტური რუსეთი, რომელსაც საბჭოთა კავშირის მსგავსი ორგანიზაციის შექმნის სურვილი ამოძრავებს. მისი დამოკიდებულება უცვლელია საქართველოს შემთხვევაშიც. მას არ სურს ნატო მის გარშემო და ყველაფერს აკეთებს ამის აღსაკვეთად.

2.2 საქართველო, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყანა

როგორც აღვნიშნე, ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანა შეუერთდა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC). შემდგომში, 1997 წელს, აღნიშნული შეიცვალა **ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი** (Euro-Atlantik Partnership Council - EAPC),[11] სადაც წევრ ქვეყნებს შორის განიხილებოდა და განიხილება

[11] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო- https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

უმნიშვნელოვანესი საკითხები, რაშიც მონაწილეობას იღებდა და იღებს ჩვენი ქვეყანაც.

1994 წლისთვის, საქართველო ხდება ნატო-ს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროგრამის მონაწილე, რომელსაც ჰქვია **„პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (Partnership for Peace - PfP)** [12] და რომლის ფარგლებშიც ხორციელდება წევრ სახელმწიფოებსა და პარტნიორ ქვეყნებში სამეთაურო-საშტაბო სწავლებები, სამხედრო წვრთნები. ასევე ტარდება უსაფრთხოების გამოწვევებთად დაკავშირებული კონფერენციები და სემინარები, სადაც საქართველო აგრეთვე იღებს მონაწილეობას.

1995 წლის 18 ივლისი - ქვეყანა უერთდება **(PfP) (SOFA) (The Partnership for Peace Status of Forces Agreement),** [13] რომელიც არის მრავალმხრივი შეთანხმება ნატო-ს წევრ ქვეყნებსა და PfP პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის. ის ეხება უცხო ქვეყნის ძალების სტატუსს, სანამ ისინი სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე არიან წარმოდგენილნი. ამავე წლიდან, ხორციელდება ურთიერთობები საგანმანათლებლო საკითხებში. კვალიფიკაციის ასამაღლებლად

[12]საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

[13] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1

საქართველოდან მიდიოდნენ გერმანიაში, სადაც მდებარებს ნატო-ს სკოლა ობერამერგაუ და იტალიაში, სადაც ასევე მდებარეობს ნატო-ს თავდაცის კოლეჯი.

1996 წელი - **(Individual Partnership Program – IPP), პირველი „ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა“**, [14] რომელიც საქართველომ შეიმუშავა და წარადგინა ნატო-ში. 1997 წლის პირველი მაისი - საქართველოს პარლამენტმა განახორციელა (The Partnership for Peace Status of Forces Agreement) - (SOFA) შეთანხმების რატიფიკაცია. შემდეგ იყო ევროატლანტიკური პარტნიორის საბჭო (EAPC), რომელიც ზემოთაც ვახსენე. მის შექმნაში საქართველომაც მიიღო მონაწილეობა. ასევე აღსანიშნავია 1998 წლის 22 აპრილი - ნატო-ში საქართველოს დიპლომატიური მისიის გახსნა. 1999 წლის მარტში კი ქვეყანა უერთდება PfP პროგრამის **Plenning and Review Process (PARP)**,[15] თანამშრომლობის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ხდება პარტნიორობის მიზნების ჩამოყალიბება. შემდეგი რატიფიკაცია იყო უკვე აღნიშნული PfP-ს SOFA პოგრამის დამატებითი ოქმის, რომელიც საქართველოს პრლამენტმა განახორციელა 2000 წლის 19 ოქტომბერს.

2001 წლის მარტში დაიწყო რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციები ალიანსის საერთაშორისო სამსახურთან, რაც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია. ამ კონსულტაციებში ძირითადად მონაწილეობას იღებენ

[14] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1
[15] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1

საქართველოდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო ალიანსიდან პოლიტიკური დირექტორატის ხელმძღვანელი. ასევე, რეგულარულად იმართება შეხვედრები კონტროლის, შეიარაღებისა და განიარაღების საკითხებზე 26+1 ფორმატში (ნატო-ს წევრი 26 ქვეყანა + საქართველო). აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 11-23 ივნისს, ჩვენს ქვეყანაში, ქალაქ ფოთში გაიმართა ალიანსის და პარტნიორი ქვეყნების ერთიანი დიდმასშტაბიანი მრავალეროვული სამხედრო წვრთნები (Cooperative Partner-2001).[16]

2002 წელს, პრაღაში ჩატარებულ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სამიტზე ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა განაცხადი ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე. სწორედ აქედან იწყება საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის ეტაპები.[17]

2004 წლის 29 ოქტომბერს, ალიანსის ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC) ე.წ „დუმილის პროცედურის“ საფუძველზე დაამტკიცა საქართველოს **(Individual Partnership Action Plan-IPAP) „ინდივიდუალური პარტნიორობის**

[16] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1

[17] https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

სამოქმედო გეგმა”[18], რითაც ჩვენი ქვეყანა გადავიდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის „მეორე ეტაპზე”.

(ID-Intensified Dialogue on Membership Issues) **„ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე"**[19] დაიწყო 2006 წლის 21 სექტემბერს, როდესაც ნიუ-იორკში გაიმართა ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური შეხვედრა. ამ გადაწყვეტილების შედეგად, ჩვენი ქვეყანა პარტნიორობის ფორმატიდან გადავიდა ნატო-ში გაწევრიანების კანდიდატობის - ასპირანტის ფორმატზე, რაც არის სტატუსი, რომელსაც ალიანსი ანიჭებს ისეთ ქვეყანას, რომელიც ისწრაფვის ნატო-ში გაწევრიანებისკენ, რითაც ის მხარს უჭერს და ესალმება კონკრეტული ქვეყის ალიანსში გაწევრიანების სურვილს.

ასევე, თანამშრომლობის მექანიზმებია: **ნატო-საქართველოს კომისია** (NGC), რომელიც შეიქმნა 2008 წელს და ძირითადად წარმოადგენს პრაქტიკული და პოლიტიკური თანამშრომლობის პლატფორმას; **ყოველწლიური ეროვნული პროგრამა** (ANP), რომელმაც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) ჩაანაცვლა 2008 წელს. ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელება ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარება საქართველოს მხრიდან, თუ რა რეფორმები და ღონისძიებები გატარდა ნატო-სა და საქართველოს სტანდარტების დაახლოებისთვის; **ნატო-ს სამხედრო კომიტეტის + საქართველოს საუშაო გეგმა**

[18] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1
[19] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1

(MC+GEO WP) და **განხორციელების პროგრამა** (IP), 2010 წელი.[20] ეს არის ახალი სამხედრო თანამშრომლობის პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ისეთი ღონისძიებები და აქტივობები, რაც ხელს უწყობს ზემოთ აღნიშნული პროგრამების სრულფასოვნად განხორციელებას. საქართველო წარმატებით მონაწილეობს ყველა იმ პროგრამაში რაც დაიწყო ნატო-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში. ამას ადასტურებს ის განცხადებები, რომლებიც კეთდება დასავლელი პარტნიორების მხრიდან.

2009 წელი - „**თავდაცვის განვითარების პროგრამა**“ (DEEP), [21] რომელიც მიმართულია საქართველოს თავდაცვის სექტორის განვიტარებისკენ. მის ფარგლებში ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს საწვრთნელი და საგანმანათლებლო შენობების და დაწესებულებების განვითარება. ასევე იმპლემენტირდება სხვადასხვა სწავლებები. ახლა, ძირითადად პროგრამა მობილიზებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარებაზე. ამავე წელს, ალიანსის ხელმძღვანელობით დაიწყო „**პროფესიული განვითარების პროგრამა**“ (PDP) (2009)[22], რომელიც ფოკუსირებულია უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებზე როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამა ითვალისწინებს სწავლებებს სხვადასხვა მიმართულებით. ესენია: კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება, ინგლისური ენა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საჯარო სამსახურის რეფორმა,

[20] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan?fbclid=IwAR1ymGccFg0RpnmPXC7h-XN40Ppv389ejNlco5RKPexbtRRtrfsTfc5Q1E4

[21] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო-https://old.infocenter.gov.ge/nato-programs/#1

[22]საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო- https://old.infocenter.gov.ge/nato-programs/#1

უსაფრთხოების სექტორის მენეჯმენტი, შესყიდვები, მართვის უნარები, იურიდიული საკითხები, ადამიანური რესურსების მართვა, ანალიტიკური უნარები, პროფესიული განვითარების ცენტრის (PDC) ფუნქციონირების გაუმჯობესება და თავდაცვის ეროვნული აკადემიის ფაკულტეტების განვითარება.

„გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივა“ (Building Integrity (BI) Initiative), [23] რომელშიც საქართველო 2013 წელს ჩაერთო და დღესაც აქტიურად მონაწილეობს. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს თავდაცვის სექტორში გამჭირვალეობის და ანგარიშვალდებულების ამაღლებას. ასევე, კორუფციის რისკის შემცირებას. პროგრამის ფარგლებში წარმატებით იმპლემენტირდა განსახორციელებელი მიზნები, რის შემდეგაც საქართველომ შეიმუშავა და დაამტკიცა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა 2014-2015.“ ჩვენი ქვეყანა ასევე აქტიურად არის ჩართული და თანამშრომლობს ნატოს უზრუნველყოფის სააგენტოსთან 2002 წლიდან, რომლის პარგლებშიც კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

"მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის" (SPS) [24] პროგრამა, რომელიც წარმოადგენს თანამშრომლობისა და დიალოგის ინსტრუმენტს ალიანსსა და მის წევრებს შორის. მასში საქართველო აქტიურადაა ჩართული 1994 წლიდან. პროგრამის ფარგლეში შესაძლებელია ისეთ სფეროებში

[23] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო
https://old.infocenter.gov.ge/nato-programs/#1
[24] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო
https://old.infocenter.gov.ge/nato-programs/#1

თანამშრომლობა როგორცაა გარემოს დაცვა, მეცნიერება, კიბერ და ენერგო უსაფრთხოება და სხვა. ასევე, საქართველო აღნიშნული პროგრამის კიდევ რამდენიმე მიმდინარე პროგრამაშია ჩართული: 1. „**ENGAGING THE PUBLIC TO FIGHT THE CONSEQUENCES OF TERRORISM AND DISASTERS**“ - საზოგადოების ჩართვა ტერორიზმისა და კატასტროფების შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად; 2. „**PROTECTION OF UNDERGROUND STRUCTURES FROM FUEL CLOUD EXPLOSION**“ მიწისქვეშა სტრუქტურების დაცვა საწვავის ღრუბლის აფეთქებისგან; 3. **„NANOTECHNOLOGY TO AID CHEMICAL AND BIOLOGICAL DEFENCE“** - ნანოტექნოლოგია ქიმიურ და ბიოლოგიურ თავდაცვაში .[25]

2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ ასევე ჩატარდა ნატო-ს სამიტები 2009 წელს (სტრასბურგისა და კელის სამიტები); 2010 წელს (ლისაბონის სამიტი); 2012 წელს (ჩიკაგოს სამიტი), სადაც მტკიცედ უჭერდა მხარს ალიანსი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას და 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩებოდა. ხოლო 2014 წლის უელსის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ შემუშავებაზე.[26] მისი ძირითადი ამოცანაა მოამზადოს ჩვენი ქვეყანა ალიანსში გაწევრიანებისთვის და განავითაროს საქართველოს თავდაცვითი უნარები. ამავე სამიტზე მოხდა ჩვენი ქვეყნის მიწვევა „გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუსა“ და „პარტნიორობის თავსებადობის

[25] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო
https://old.infocenter.gov.ge/nato-programs/#1
[26] Wales Summit Declaration
https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm?fbclid=IwAR1sWxTh1Gxt7XhWr20dl_qteLVviwKwFdtCQayn0NXJupU8cZVzEhsD9ls#georgia

ინიციატივაში“ . ნატოს სამიტი გაიმართა 2016 წელსაც ვარშავაში, რომლის ფარგლებშიც პირველად ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და შედგენილ იქნა ერთობლივი განცხადება ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით. [27]

ნატო-ს დაარსებიდან დღემდე სულ ჩატარდა 29 სამიტი. სამიტებზე, როდესაც საქართელოს საკითხი იხილებოდა, ყოველთვის ხაზი ესმებოდა ალიანსის მხარდაჭერას, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობის მიმართ. ასევე ალიანსი ყოველთვის გმობდა რუსულ ოკუპაციას და ოკუპირებულ ტერიტორიებთან განხორციელებულ უხეშ ქმედებებს. ბოლო მნიშვნელოვანი სამიტები ჩატარდა 2018 წელს,[28] სადაც ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს დეკლარაცია, რაც არის უპრეცენდენტო შემთხვევა და 2021 წლის 14 ივნისს,[29] სადაც მსგავსად სხვა სამიტებისა დადასტურდა ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერა. 2021 წლის სამიტს სხვადასხვა შეფასებები მოყვა. ზოგი კმაყოფილი იყო სამიტის შედეგებით. კერძოდ, დადებითი შეფასებები მოყვა იმ ფაქტს, რომ ოცდაათივე ქვეყნის პირველი პირი შეთანხმდა ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების მზადყოფნაზე. იყო პირობა საქართველოს ალიანში გაწევრიანების შესახებ და ვეტოს უფლების

[27] საქართველოს საგარეო საქმეთა სამიისტრო
http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1
[28] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
https://mfa.gov.ge/News/informacia-nato-s-briuselis-samitis-shesakheb.aspx
[29] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-nato-s-202.aspx

აკრძალვა ოფიციალური თბილისის წევრობისთვის. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალ ნატო-ს სამიტზე ქართული მხარე ოფიციალურად მიიწვიეს. იყვნენ ისინიც, ვინც გაცილებით უფრო მეტს ელოდა აღნიშნული სამიტიდან. იყო მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ნატო საქართველოს ისევ ძველი ენით ესაუბრება და საჭიროა უფრო მეტი ვადების კონკრეტიკა, რაც 2021 წლის სამიტზე ნამდვილად არ გაჯღერებულა. ჩემი მოსაზრებით ეს სამიტი მაინც დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია და საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ალიანსის წერობისთვის.

გამიჭირდება იმ უამრავი მნიშვნელოვანი პროგრამისა და ღონისძიებების სრულად ჩამოთვლა, რომლებიც ამ პროგრამების ფარგლებში ხორციელდება. ასევე ხაზგასასმელია ფინანსური დახმარებები ალიანსისგან და ზოგადად დასავლეთისგან, რომელიც ხმარდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სექტორის განვითარებას, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების განხრით. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქართველი ჯარისკაცების სრულფასოვანი, ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი წვრთნა და მომზადება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო მისიეში მონაწილეობა არა მხოლოდ დასავლური სამყაროსთვის არის სარგებლიანი, არამედ ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნისთვის მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის შექმნაში. გარდა ამისა, აღნიშნულ მისიებში მონაწილეობით ქართველი ჯარისკაცები ძალიან დიდ ცოდნასა და გამოცდილებას იღებენ, რაც საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თავი 3 -აგვისტოს ომი-რევიზიონისტული რუსეთი

3.1 ბუქარესტის სამიტი და 2008 წლის აგვისტოს ომი-ხელიდან გაშვებული შანსი

სანამ ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე, ანუ ეგრედ წოდებულ დიპლომტიურ შეხლა-შემოხლაზე გადავალთ, აუცილებლად უდა გავიხსენოთ კოსოვოს პრეცედენტიც.

2008 წელს, თებერვალში განხორციელებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ამავე წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებას. კერძოდ, ეს იყო კოსოვოს აღიარება. კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერით დასავლეთმა გზა გაუხსნა კრემლს ეს ვითარება სათავისოდ გამოეყენებინა რუსეთ-საქართველოს „გაყინულ“ კონფლიქტებში, რაც დადასტურდა 2008 წლის ზაფხულში.

შესაძლოა, დასავლეთი უგუნებელყოფდა იმ აზრს, რომ ეს ფაქტი მწვავე კონფლიქტის გაღვივების საფუძველი გახდებოდა ამიერკავკასიაში, თუმცა

ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა. ასევე, ნათელი იყო, რომ დასავლეთი ბალკანეთს მნიშვნელოვნად აღიქვამდა.

რონალდ დ. ასმუსი, რომელიც კლინტონის პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე იყო ევროპის საკითხებში, თავის წიგნში „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, განიხილავს ამ საკითხს და ამბობს, რომ ნატოს სამხედრო ინტერვენცია ეთნიკური წმენდის შესაჩერებლად და კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა კი არ იყო შეცდომა და პრობლემა, არამედ პრობლემა ის იყო, რომ არ არსებობდა გეგმა, რომლითაც იმოქმედებდა დასავლეთი საქართველოსთვის შესაძლო საფრთხის აცილების მიზნით. დასავლეთს კი არანაირი სტრრატეგია არ ქონდა შემუშავებული. ის მხოლოდ განცხადეებებით შემოიფარგლებოდა, რომლებმაც არანაირი შედეგი არ გამოიღო.

ავტორს ნათლად აქვს აღწერილი თუ რა გამოიწვია ამ ფაქტმა. როგორ დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც ისედაც რთული ვითარება იყო. და როგორ არ განსხვავდება რუსეთისთვის კოსოვოს და აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთის შემთხვევა. პირიქით, რუსეთი არ აპირებდა დასავლეთის ინტერესების გათვალისწინებას, ისე როგორც არ გაითვალისწინეს მისი ინტერესები კოსოვოთან მიმართებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ასმუსი ამბობს, რომ 2008 წლის ომი გამოწვეული იყო საქართველოს დაავლეთისკენ სწრაფვისა და რუსეთის მირ მისი შეჩერების სურვილისგან. ისედაც ნათელია, რომ რუსეთი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს დასავლეთთან თავისი სიძლიერის მტკიცებას, რაც არაერთხელ გამოვლინდა მის ქმედებებში.

რაც შეეხება ბუქარესტის 2008 წლის სამიტს, აქ ჩნდება კითხვები: - რა მოხდა ბუქარესტის სამიტზე? რატომ ვერ მიიღეს საქართველომ და უკრაინამ MAP-ი? ფაქტი არის ის, რომ დიპლომატიურმა შეხლა-შემოხლამ ცუდი შედეგები მოიტანა.

2008 წელს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა ნატოს სამიტი, სადაც ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) ვერ მივიღეთ, მაგრამ მივიღეთ მკაფიო დაპირება ნატოში სამომავლო გაწევრიანების შესახებ.

მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე, სამიტის დამთავრების შემდეგ, პარლამენტის შენობაში ჟურნალისტებთან სიტყვით გამოვიდა და განაცხადა: „მაპი ნატოში გაწევრიანების გზაზე არის ტექნიკური ინსტრუმენტი. დღეს საქართველომ და უკრაინამ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) ვერ მიიღო, მაგრამ, ამავე დროს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრული შემადგენლობისგან მიიღო გაცილებით მეტი - მტკიცე პირობა, რომ საქართველო ნატოში უნდა გაწევრიანდეს და ეს ჩანაწერი არის ძლიერი და ღია ვალდებულება ალიანსისთვის. დღეს, ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდებიან. ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება და იმედი გვაქვს, რომ დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამდე მოვახერხებთ ჩვენი ყველა პარტნიორის დარწმუნებას. დღეს კი ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური თანხმობა გაწევრიანებაზე."[30]

[30] საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო
http://old.infocenter.gov.ge/78-bugarestis-samiti.html

კოსოვოს მოვლენების შემდეგ ბუქარესტის 2008 წლის სამიტს გაფართოებული თვალებით აკვირდებოდა რუსეთი. დასავლეთი კი რთული ამოცანის წინაშე იდგა, დიპლომატიური დაძაბულობის ფონზე ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რომ არავინ დაზარალებულიყო. თუმცა რუსეთს არანაირი გადაწყვეტილება არ აწყობდა და ყოველთვის მონახავდა მიზეზს კონფლიქტის დასაწყებად. ამის შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს დიპლომატიური საზოგადოების თუ ექსპერტებისგან გამოთქმული. ზოგი ფიქრობს, რომ კრემლის ასეთი გამბედაობა გამოწვეული იყო ნატოში არსებული არაერთსულოვნებით ამ საკითხთან მიმართებაში, ბუქარესტის სამიტზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ კი მოსკოვის „თვალში“ შეუქცევადი გახადა საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების პროცესი. პუტინს იმის იმედი დაუტოვა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გვიან ამ პროცესის შესაჩერებლად. არადა, ჩვენი დასავლელი პარტნიორები იმედოვნებდნენ, რომ მიღებული გადაწყვეტილებით მოსალოდნელ საფრთხეებს გაანეიტრალებდნენ და ამავდროულად აღმოიფხვრებოდა ის დაძაბულობა, რაც მოკავშირეებს შორის არსებობდა.

სწორედ კოსოვოს მოვლენებისა და ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გამწვავდა ვითარება და დადგა შედეგი, რასაც 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომი ჰქვია. თუმცა თბილისი ბოლომდე იმედს არ კარგავდა და უფრო მეტ ჩართულობას ელოდა დასავლეთისგან. საჭირო იყო დასავლეთისგან უფრო მეტი ჩართულობა ამ პროცესებში, რაც გაანეიტრალებდა საკმაოდ რთულ ვითარებას კონფლიქტურ ტერიტორიებზე.

საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) და ნატო სამეკავშირეო ოფისის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მედიის ტრეინგის პროგრამის მონაწილეების გიორგი კვიჟინაძის და სესილი ბოკერიას მიერ მომზადებული სიუჟეტის მიხედვით, რომელიც 2019 წელს გამოქვეყნდა (GSAC)-ის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე[31], უსაფრთხოების ექსპერტები და მნიშვნელოვან პოზიციაზე ნამუშევარი ადამიანები, კითვაზე თუ როდის ქონდა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ყველაზე დიდი შანსი პასუხობენ, რომ ეს იყო 2007-2008 წლებში. მათი აზრით, ამ შანსის დაკარგვის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ამერიკას არ ეყო გავლენა საქართველო ნატო-ში შეეყვანა და ასევე, არ იყო ევროპელ პარტნიორებს შორის ერთპიროვნული შეთანხმება აღნიშული საკითხის შესახებ.

ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე საქართველოს ნამდვილად ქონდა შანსი მიეღო მაპ-ი და საბოლოოდ გაწევრიანებულიყო ნატო-ში, რადგან ერთის მხრივ სწორედ ამ დროს იყო ყველაზე უფრო მზად საქართველო ალიანსში გასაწევრიანებლად, მეორეს მხრივ, კოსოვოს მოვლენების შემდეგ, დასავლეთი დილემის წინაშე იდგა და სრულიად შესაძლებელი იყო მომხდარიყო ისე, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მიეღო.

[31] საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი https://www.facebook.com/watch/?v=2230989957160312

3.2 რუსეთის პოზიციები

რუსეთის გაწყობა და ინტერესები, ყველასთვის ცნობილია. მის პოზიციას ცხადოფს არაერთი საჯარო განცხადებები, რომლებიც კეთდება რუსი პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირების მხრიდან. მათ შორის, 2018 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგორი კარასინის განცხადება,[32] რომელიც საქართველოში ნატო-ს გააქტიურებას ეხებოდა ნეგატიურ კონტექსტში. რუსეთის ეროვნული ინტერესი იმპერიალისტურია. კრემლი საკუთარი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად ყველაფერს აკეთებს, თუმცა, ეს ყველაფერი ხდება სხვა ქვეყნების და უფრო ხშირად, მეზობელი ქვეყნების კეთილდღეობის ხარჯზე. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველომ აირჩია ევრო-ატლანტიკური კურსი და არა იმპერიალისტური რუსეთისკენ სწრაფვა, ვინაიდან, დამეთანხმებით, რომ ზოგადად ქვეყნის განვითარება ხდება თანასწორუფლებიან გარემოში და არა რომელიმე ქვეყნის მარწუხების ქვეშ.

რუსეთის პოზიცია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხზე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. მეტიც, ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება აღნიშნულ საკითხს და ყველანაირი მეთოდით ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების იმპლემენტაციას. ამას ემსახურება რუსული პროპაგანდა, ჰიბრიდული ომი. ასევე, სწორედ ამის გამოხატულება იყო 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ განვითარებული მოვლენები.

[32] კუნჭულია ლელა „ საქართველო-ნატო: გზის შემოკლების შანსი“ https://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelo-rusetis-shetankhmeba/29014396.html

ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, თუმცა მე ვფიქრობ, რომ სამიტზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ კრემლი შეაშინა, მაგრამ, იმის შიშით, რომ პროცესები უფრო ღრმად არ წასულიყო მან მოქმედება დაიწყო. არადა დასავლეთის მიზანი სულ სხვა იყო. რა მოხდებოდა მაშინ, თუ ნატო-ს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას მივიღებდით? რუსეთი დაიხევდა თუ არა უკან? გაბედავდა თუ არა ისეთ ქვეყანაზე თავდასხმას, რომელსაც მაპ-ი ექნებოდა? - ასმუსი თავის წიგნში[33] წერს, რომ იყო ნატოს გაფართოების წინა რაუნდებიც, სადაც ალიანსი ერთსულოვანი იყო და რუსეთმაც უკან დაიხია, თუმცა, არც იმას ამტკიცებს, რომ საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაშიც ასე იქნებოდა, იმიტომ, რომ ეს ორი ქვეყანა კრემლისთვის უფრო მტკივნეული აღმოჩნდა. ერთი მხრივ ლოგიკურია, თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ კრემლი უკან დაიხევდა. შესაძლოა მაპ-ი 2008 წლის ომს ვერ აგვაცილებდა, მაგრამ ასეთი მძიმე შედეგებიც არ დადგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი სიტუაციის განეიტრალებას ცდილობდა, ჩვენთვის მოვლენები პირიქით განვითარდა.

ასევე, რუსეთის მიერ განხორციელებული მავნებლური ქმედებებისგან მინდა გამოვყო ისტორიის დამახინჯება, რასაც პუტინი აქტიურად იყენებს როგორც დასალეთთან, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. ამ პოზიციაში ცდილობს კრემლი როგორც საშინაო, ისე საგარეო სიმახინჯეების დაფარვას. ალბათ ყველას გვსმენი ზემოთხსენებული, რუსული პროპაგანდის შესახებ, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში წარმატებით მუშაობს. ისიც გასაგებია, რომ

[33] ასმუსი, 2010 გვ95-155

ისეთი ავტორიტარული ქვეყნისგან, როგორიც რუსეთია არაფერი უნდა გვიკვირდეს და უნდა გავიაზროთ, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ის არის საფრთხე არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის ზეწოლის ქვეშ მყოფი ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისა და საერთო მშვიდობისთვის.

რუსეთის პოზიციის უფრო ნათელი და სარწმუნო ასახვა შეგვიძლია ვიხილოთ რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში[34](2015), სადაც ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა კრემლისთვის მთავარი საფრთხეები, რომელშიც ცოტა უჩვეულოდ მოხვდა ჩვენი ქვეყანაც. ესენია:

1. ევრო-ატლანტიკური არეალი
2. ევრაზიული არეალი
3. წყნარი ოკეანეთის არეალი

დოკუმენტში ასევე ნათლად ვლინდება რუსეთის ჰეგემონისტური სურვილები და უარყოფითი დამოკიდებულება ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მიმართ. რუსეთი საფრთხედ მიიჩნევს ნატო-ს გაფართოებას და მისი სამხედრო ძალების გაძლიერებას. კრემლი საქართველოს საფრთხედ მოიაზრებს ბირთვული იარაღის კონტექსტში. კერძოდ, დოკუმენტში საფრთხედ აღიქმება „ლუგარის სახელობის ბიოლოგიური ლაბორატორია“.

[34] რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (დამტკიცდა 2015წელს)- http://www.kremlin.ru/acts/bank/40391

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების 2021 წელს დამტკიცებულ სტრატეგიაში[35] ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ომის საფრთხეებზეც, რომელთაგან გამოვყოფდი შემდეგ სამ მიმართულებას:

1. საინფორმაციო
2. ტექნოლოგიური
3. ეკონომიკური

ეს სწორედ ის მიმართულებებია, რაც ჰიბრიდული ომის ელემენტებად განიხილება და რასაც თვითონ კრემლი აქტიურად ახორციელებს საკუთარი რევიზიონისტური მიზნების იმპლემენტირებისთვის და ასევე საკუთარი ქვეყნის მნიშვნელოვან საფრთხეებადაც მიიჩნევს.

თავი 4-არგუმენტირბული მსჯელობა წინა თავებზე დაყრდნობით საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე რუსული ოკუპაციის პირობებში

[35] რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (დამტკიცდა 2021წელს)- file:///C:/Users/user/Desktop/ruseti.pdf

და მაინც, ნატო-ში გაწევრიანების რა პერსპექტივები აქვს ჩვენს ქვეყანას რუსული ოკუპაციის პირობებში? - ეს თავი მთლიანად დაეთმობა აღნიშნული საკითხის მიმოხილვას. რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, რასაც ასევე განვიხილავთ, შევაფასებთ რომელია უფრო რეალური და რა პრეცედენტები არსებობს.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო იმას, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. კიდევ ერთხელ ხაზსგასმით უნდა ითქვას, რომ ზოგადად ქვეყნის განვითარება ხდება თანასწორუფლებიან გარემოში. ალიანსში გაწევრიანება კი სწორედ ამას გულისხმობს. მართალია ნატო-ს შექმნა უკავშირდება უსაფრთხოების პრობლემას და სსრკ-სთან დაპირისირებას, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. ნატო არის ღირებულებებზე და დემოკრატიაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის ყველა წევრი დემოკრატიული სახელმწიფოა. შესაბამისად, როდესაც რომელიმე ქვეყანას აქვს ალიანსში გაწევრიანების პრეტენზია, უნდა აკმაყოფილებდეს ნატო-ს სტანდარტებს. კერძოდ, უნდა იყოს დემოკრატიული და თავდაცვისუნარიანი სახელმწიფო.

საინტერესოა რას ფიქრობენ ამ საკითხის შესახებ დიპლომატები და ექსპერტები. ლუკ კოფის ერთ-ერთ სტატიაში[36], რომელიც არის დუგლასისა და სარა ელისონის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი The Heritage

[36] Coffey, The Heritage Foundation
https://www.heritage.org/global-politics/report/time-end-russias-veto-georgias-nato-

Foundation-ში, ამერიკული კონსერვატიული კვლევითი ცენტრში,[37] ვკითხულობთ, რომ საქართველო ვერ გახდება ნატო-ს წევრი, რადგან კრემლის სურვილი უფრო დიდია საქართველო ალიანსის გარეთ დატოვოს, ვიდრე ნატო-ს სურვილი საქართველოს ალიანსში მიღებისა, თუმცა ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ დროა დასრულდეს რუსეთის დე ფაქტო ვეტო საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში. სტატიაში ასევე ხაზგასმულია, რომ ახლა არის დრო ახალი აზროვნებისა და გაბედული იდეებისთვის, რათა საქართველომ ნატოში გაწევრიანების უფლება მიიღოს. შეერთებულმა შტატებმა უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს წევრობას 1949 წლის ჩრდილო -ატლანტიკური ხელშეკრულების მე - 6 მუხლის დროებითი ცვლილებით, უნდა მოხდეს წევრობის სამოქმედო გეგმის მიმდინარე პროცესის შეცვლა სხვა კანდიდატი ქვეყნების გეოპოლიტიკური გარემოებებთან შედარებით და ნატო-ს მოკავშირეებთან მჭიდრო თანამშრომლობით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპამ უნდა შექმნას კოალიცია, რომელიც მხარს უჭერს ამგვარ ნაბიჯებს. ამის გაკეთება მოითხოვს პოლიტიკურ ნებას და ძლიერ ხელმძღვანელობას შეერთებული შტატების, ევროპისა და საქართველოს მხრიდან. ასეთი შეფასებები, ჩემი აზრით, საკმაოდ რეალისტურია. თუმცა, როგორც სტატიაშია ნათქვამი, პოლიტიკური ნების გარეშე აღნიშნული პრობლემა ვერ გადაიჭრება.

ბათუ ქუთელიას, შოთა ღვინერიას და დევიდ.ჰ.უკოს სტატიაში სახელად AMERICA'S VITAL INTERESTS IN GEORGIA: THE CASE FOR ENGAGEMENT,

[37] The Heritage Foundation
https://www.heritage.org/staff/luke-coffey

რომელიც 2017 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა,[38] ავტორებს ამერიკელი აკადემიკოსის, რუგერის საწინააღმდეგოდ, უწევთ იმის მტკიცება თუ როგორი მნიშვნელოვანი და საიმედო პარტნიორია საქართველო ამერიკისთვის და რომ ის არავითარ შემთვევაში არ არის ზედმეტი ტვირთი დასავლეთისთვის. ისინი ფიქრობენ, რომ საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნატოსა და ამერიკისთვის. ასევე აღნიშნავენ საქართველოს როლს იმ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთოებისა და დივერსიფიკაციის მიზნით. მათი აზრით, საქართველო დემოკრატიის ფრონტზე მყოფი ოთხ მილიონიანი ერის გარდა, განასახიერებს თავისუფლებას და ამერიკის დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელსაც საფრთხეს უქმნის რუსეთის ავტორიტარული რეჟიმი. საქართველოს დაცვა ამ რეჟიმისგან კი უმნიშვნელოვანესია დასავლეთის სანდოობისა და სტრატეგიული ხედვის სიმყარისთვის, რომელსაც იგი ატარებდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა: ევროპა მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი. ისინი ხაზს უსვამენ რეგიონული უსაფრთხოების მნიშვნელობას და შავი ზღვის კონტექსტსაც.

მათი ნააზრევი, რომელიც ობიექტურ მოსაზრებებსა და ფაქტებზე არის დაფუძნებული, მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს ნატო-ში გაწევრიანების, თუნდაც რუსული ოკუპაციის

[38] Qutelia Batu, Shota Gvineria, Devid Uko :America,s vital interests in Georgia: the case for engagement https://warontherocks.com/2017/11/americas-vital-interests-georgia/?fbclid=IwAR3wbp_6FjTnyraXt1VX1yyV-2doyUYHcOx33fWQU3nZ-cTOsodHVsRQN28

პირობებში. მთავარია იყოს პოლიტიკური ნება და ის, თუ რას გავაკეთებთ იმისთვის რომ ეს პერსპექტივა გაიზარდოს და განხორციელებადი გახდეს.

ამ თავის ძირითად კითხვას რომ მივუბრუნდეთ, არსებობს თუ არა ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა საქართველოსთვის რუსული ოკუპაციის პირობებში? - კი, რა თქმა უნდა არსებობს. თუმცა, მეორე საკითხია ის, თუ რა უნდა გავაკეთოთ ამ პერსპექტივის გასაზრდელად და სამომავლოდ ალიანსში გასაწევრიანებლად? - პირველ რიგში მნიშვნელოვანია გატარდეს უფრო ეფექტური სამხედრო რეფორმები, რომ ქვეყანამ შეძლოს თავდაცვა საომარ სიტუაციაში, თუმცა ეს არ არის გადამწყვეტი ქვეყნის ალიანსში გასაწევრიანებლად. ასევე უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში სტაბილური, ფინქციონალური, დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა. თუმცა, ნატო-ში გაწევრიანებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელობანი ფაქტორი არის პოლიტიკური ნება, რაშიც იგულისხმება ის პოლიტიკა, რასაც, ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყანა ახორციელებს. კერძოდ, ტარდება რუსეთის არ გაღიზიანების პოლიტიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთის მხრივ, დოკუმენტებში ასახული გვაქვს ევრო-ატლანტიკური კურსი და მისი მნიშველობა, მეორეს მხრივ-კი არაფერს ვაკეთებთ აღნიშნულის იმპლემენტაციისთვის. რატომ არ დგას დღის წესრიგში ალისნში გაწევრიანება და რატომ არ ხორციელდება ქვეყანაში ის რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ნატო-ში გაწევრიანების პროცესს? - სწორედ ეს არის ის კითხვები, რომლებიც ადასტურებს იმას, რომ საქართველოში დღესდღეობით ტარდება რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო საგარეო პოლიტიკური აქტიურობის მნიშვნელობა და რატომ. იმიტომ, რომ სწორედ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და სარგებლიანობაზეა მიბმული იმ ოცდაათი ქვეყნის მხარდაჭერა, რომელთა კონსესუსიც ამ საკითხზე გადამწყვეტი და აუცილებელია საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად. ეს კონსესუსი არ იყო 2008 წლის ბუქარესტის სამიტე, სადაც რეალურად გვქონდა შანსი მოგვეპოვებინა ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა და გადაგვედგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ნატო-ში გაწევრიანებისკენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომელიც წინა თავშიც მიმოვიხილეთ, რომ საქართველო აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ნატო-ს მიმდინარე და დასრულებულ სამშვიდობო მისიებში: კოსოვო (1999-2008), ერაყი (2003-2008), ავღანეთი (2004-2021), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (2014-15, 2017), მალის რესპუბლიკა (2013).[39] ჩვენი ქვეყის მხრიდან, ეს არის ერთის მხრივ ზრუნვა მსოფლიო მშვიდობისთვის და მეორე მხრივ დასავლეთისკენ მიმართული მხარდაჭერა, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის და დემოკრატიული ღირებულებებისთვის, რაც უმნიშვნელოვანესია სტაბილური მსოფლიოს ჩამოყალიბების გზაზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ასევე არის ერთ-ერთი საერთაშრისო უსაფრთხოების კონტრიბუტორიც.

1955 წელს, როდესაც დასავლეთ გერმანია ნატო-ს წევრი გახდა, აღმოსავლეთ გერმანია ოკუპირებულ ტერიტორიდ ითვლებოდა. 1990 წელს კი

[39] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
https://mod.gov.ge/ge/mission

ბერლინის კედელი დაინგრა და ორად გაყოფილი გერმანია გაერთიანდა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. შესაბამისად, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილიც შეუერთდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. აქედან გამომდინარე იმის მტკიცება რომ რუსული ოკუპაციის პირობებში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება რუსული ოკუპაციის პირობებში არარეალურია, მოკლებულია ყველანაირ საფუძველს. 2019 წელს, ანდერს ფოგ რასმუსენმა, რომელიც 2009-14 წლებში ნატოს გენერალური მდივანი გახლდათ, და ლუკ კოფმა, საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად საკუთარი ხედვა[40][41] შემოგვთავაზეს, რომელიც გულისხმობს, რომ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მეხუთე მუხლი კოლექტიური თავდაცვის შესახებ დროებით არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გავრცელდეს მხოლოდ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. რასმუსენი ჩვენს ქვეყანას აღნუშნულ საკითხზე დისკუსიის დაწყების რეკომენდაციას აძლევს. ასევე თვლის, რომ ამ მექანიზმის განხორციელების შემთხვევაში რუსეთი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ხელს ვეღარ შეუშლის, თუმცა რისკებსის არსებობაზეც მიუთითებს. აღნიშნული ინიციატივის შემდეგ, ქართული პოლიტიკური სექტორი პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც ორად გაიყო. საბოლოოდ კი ეს თემა დარჩა დღის წესრიგის მიღმა. სწორედ ეს არის საქართველოს პრობლემა. არასდროს არ არის განხილვის თემა ის მთელი რიგი საკითხები, რაც უპირობოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

---

[40] https://1tv.ge/video/rasmusenis-ganckhadeba-politikuri-shefasebebi/

[41] საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
http://gip.ge/gip-interview-w-luke-coffey-nato-georgia-relations/

Rondeli foundation-ში გამოქვეყნებული ანალიზის მიხედვით,[42] რომელიც ეხება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის ყოფილი მეთაურის, გენერალ ბენ ჰოჯესის 2018 წლის სტატიას, გენერალმა ცალსახად აღნიშნა რა უნდა გაკეთდეს რუსული საფრთხის გასანეიტრალებლად, ნატოს მიზნების განსახორციელებლად, მათ შორის მისი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთოების დასაცავად შავი ზღვის რეგიონში. კერძოდ, საუბარია საქართველოსა და უკრაინაზე, ავტორი ამბობს თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას აი ამ მიზნების უზრუნველსაყოფად. მისი ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რომ აუცილებელი და ძალიან მიშვნელოვანი ბრიუსელში და ვაშინგტონში აქტიურობა. საუბარია საქართველოს და უკრაინის საგარეო უწყების პროაქტიურობა ამ მიმართულებით. გენერალი ბენ ჰოჯესი ასევე აღნიშნავს რუსეთის შიშს ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით და განმარტავს რომ კრემლი ალიანსის აღმოსავლეთ წინსვლას, ნატოს ძალების აღმოსავლეთ რეგიონში განლაგებას პროვოკაციულ ქმედებას უწოდებს. მათ შორის საქართველოშიც. ამავე დროს, ბენ ჰოჯესი გვთავაზობს საკითხის გადაჭრის თავისეულ მოდელს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სამ ქვეყანაში, პოლონეთში, საქართველოსა და უკრაინაში ალიანსის როტაციული შეიარაღებული ძალების გაზრდა. აღნიშნული მოდელის საფუძვლიანბას კი საკმაოდ მყარი არგუმენტებით ამტკიცებს. მისი აზრით როტაციული ძალები აუცილებელი არ არის იყოს მხოლოდ ამერიკული. შესაძლებელია განლაგდესს

[42] საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი https://www.gfsis.org/ge/blog/view/842?fbclid=IwAR2E1luFvf2HvApha5El_giZPwY4tkSfwZSFTob1u2BoEt6G5O5R--9eCF8

ისეთი წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალები, როგორიცაა ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია... ჰოჯესის სტატია ჰგავს ერთგვარ პოლიტიკურ ბარათს, სადაც დასმულია პრობლემა და მოყვანილია ამ პრობლემის ავტორისეული გადაჭრის გზა, რაც საკმაოდ დამაჯერებელი და რეალისტური არგუმენტებით არის გამყარებული. ჰოჯესისეული მოდელით ნატო-საქართველოს საკითხიდან გამოსავალი საკმაოდ ეფექტური და სარგებლიანია. წარმოადგენს რეალურ გზას ალიანსში გაწევრიანების დასაჩქარებლად.

ამ თავში განხილული სტატიებისა და ექსპერტთა მოსაზრებების მიხედვით იკვეთება, რომ ალიანსში გაწევრიანების რეალური შანსი არსებობს რომელსაც ჩვენი ქვეყანა არ იყენებს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის არაერთი ფაქტორი, რაც ნატო-ში გაწევრიანების რთულ გზაზე გვაფერხებს, თუმცა ამ ყველაფერს ჭირდება ძალისხმევა როგორც საქართველოს, ასევე დასავლეთის მხრიდან.

დასკვნა

ნაშრომში მიმოხილულ იქნა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები რუსული ოკუპაციის ფონზე.

პირველ თავში საუბარია ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის შექმნაზე და მის ზოგად პოლიტიკაზე. ხაზგასმულია ნატო-ში გაწევრიანების მნიშვნელობა, როგორც უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ყოფნა.

მეორე თავი მიმოიხილავს ნატო-საქართველოს მრავალწლიან ურთიერთობებს. მასში ასევე საუბარია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთ გაფართოებაზე და მის მნიშვნელობაზე.

მესამე თავი მოგვითქრობს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, როგორიცაა კოსოვოს პრეცედენტი და ბუქარესტის 2008 წლის სამიტი-შანსი რომელიც დქავკარგეთ. აღნიშნულ თავში ასევე საუბარის იმპერიალისტური რუსეთის პოზიციებზე და მის ჰეგემონიურ განწყობებზე.

მეოთხე თავში განხილულია უსაფრთხოების ექსპერტებისა და დიპლომატების ნააზრევი ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, რომლებიც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების უპირობო მხარდამჭერები

არიან, ამიტომაც გვთავაზობენ საკუთარ ინიციატივებსა და მოსაზრებებს აღნიშნული თემის შესახებ. ისინი რეალური ფაქტებიდან გამომდინარე ცდილობენ ყველა მხრივ დაგვანახონ აღნიშნული პრობლემა და მოგვეხმარონ სწორი, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკის გატარებაში.

მოგეხსენებათ დღევანდელ დროში, გლობალიზაციის პირობებში, უსაფრთხოებას არ აქვს გეოგრაფია. ერთი ქვეყნის პრობლემა შესაძლოა მთელი მსოფლიოს პრობლემა გახდეს. ეს ეხება არა მხოლოდ იმ საფრთხეებს, რომელიც გამოიხატება ტრადიციული ომით, არამედ ზოგადად ჰიბრიდულ ომს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს: ინფორმაციულ და კიბერ შეტევებს, რაც ძალზედ აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში.

ამრიგად, ნაშრომში განხილული საკვლევი თემის განხილვისა და გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ნამდვილად აქვს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა რუსული ოკუპაციის პირობებში, თუმცა, იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხი განხორციელდეს საჭიროა როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა პოლიტიკური დღის წესრიგი.

ნაშრომში აღწერილი ნატო-საქართველოს ურთიერთობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ წარატებით განხორციელდა მთელი რიგი პროგრამებისა, რაც შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპების განხორციელების იმედს გვაძლევს. თუმცა, როგორც აღვნიშნე, აუცილებელია პოლიტიკური ნება და ისეთი ქმედებები, რაც დააჩქარებს ევროატლანტიკური-ინტეგრაციის პროცესებს.

თვალსაჩინოებისთვის გამოვყოფ სამ ძირითად კომპონენტს, რაც უმნიშვნელოვანესია ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივის გასაზრდელად და რასაც შემდგომში რეკომენდაციების ჩამონათვალშიც იხილავთ:

1. სამხედრო რეფორმები
2. დემოკრატიული რეფორმები
3. საერთაშორისო არენაზე აქტიურობა

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს ოკუირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ტერიტორიული მთიანობის აღდგენა, მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთარ მიწაზე დაბრუნება და რუსეთ-საქართველოს მრავალწლიანი კონფლიქტის დასრულება, აუცილებელია ალიანსში გაწევრიანების თემა დადგეს საქართველოს მთავრობის თუ ზოგადად პოლიტიკური სექტორის დღის წესრიგში პირველ ადგილზე, რაც დღესდღეობით, როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, არ ხორციელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა არსებობს, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა ძირითადი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ პერსპექტივის გასაზრდელად. ზემოთხსენებული ინფორმაციისა და მსჯელობების საფუძველზე, თავს უფლებას მივცემ და გადმოვცემ იმ სამომავლო რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც უნდა განხორციელდეს მომავალში და აქამდეც უნდა განხრციელებულიყო:

1. საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ალიანსში გაწევრიანების თემის ფორსირება

2. დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილური განვითარება
3. საგარეო პოლიტიკის ჯანსაღი მართვა
4. რუსული ჰიბრიდული შეტევების, კერძოდ საინფორმაციო ომის მოგერიება ინფორმაციული და ინტელექტუალური უპირატესობების ხარჯზე
5. სამხედრო რეფორმების აქტიური შემუშავება, შედეგებზე ორიენტირებულობა
6. თავდაცვის სექტორის აქტიური განვითარება
7. ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოება ყველა სფეროში

ჩემი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები განხორციელდება, ჩვენი ქვეყანა რეალურად გადება ალიანსის წევრობის კანდიდატი და ვერანაირი საერთაშორისო ვითარება ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ნატო-ს წევრობა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ყოფნას ნიშნავს. საჭიროა ის დიდი სურვილი და მონდომება, რომელიც ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებში უნდა აისახებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასმუსი, რონალდ დ. „მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბილისი:ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010)
2. ბერძენიშვილი, დავით და დავით ზურაბიშვილი. „საქართველო თავისუფლების აღმართზე“ (თბილისი:ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის 2020,)
3. კისინჯერი, ჰენრი „მსოფლიო წესრიგი“ , (თბილისი: ინტელექტი 2020)
4. რონდელი, ალექსანდრე „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“,(თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2009)
5. ჩიტაძე, ნიკა „ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, (თბილისი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2008)
6. ცინცაძე. სოსო და უილდს უმულისი. "ნატო და საქართველოს უსაფრთხოება", (თბილისი, 2008)
7. ხიდაშელი, თინათინ, მასალკინი გიორგი და გიორგი ბუტიკაშვილი... ო. ბეგოიძე ბ. ლოლაძე ნ. აგლაძე მ. დარჩიაშვილი კ. გოგოლაშვილი შ. ღვინერია ვ. ვიხოვა ი. იურვეე გ. მოლოდინი ზ. აგლაძე დ. ჩხეტიანი კ. ესებუა ა. გოცირიძე ი. კაჭკაჭიშვილი „ჰიბრიდული ომების ანატომია“ (თბილისი:პალიტრა L, 2021)

გამოყენებული წყაროები:

1. საინფორმაციო ცენტრი საქართველო და ნატო-http://old.infocenter.gov.ge/georgia-and-nato/
2. https://fb.watch/7RItnPDUrm/ (20.09.2021)
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო- https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-NATO-%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx (20.09.2021)
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო- http://www.nato.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=2132&lang=1(20.09.2021)
5. საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-saministros-ganckhadeba-nato-s-202.aspx(20.09.2021)
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო- https://mfa.gov.ge/News/informacia-nato-s-briuselis-samitis-shesakheb.aspx (20.09.2021)
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო- https://mfa.gov.ge/News/informacia-nato-s-briuselis-samitis-shesakheb.aspx (20.09.2021)
8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-https://mod.gov.ge/ge/mission (20.09.2021)
9. საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი- https://www.facebook.com/watch/?v=2230989957160312(20.09.2021)
10. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი-http://gip.ge/gip-interview-w-luke-coffey-nato-georgia-relations/(20.09.2021)
11. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი- https://www.gfsis.org/ge/blog/view/842?fbclid=IwAR2E1luFvf2HvApha5El_ (20.09.2021)
12. Churchill Winston, The Sinews of Peace (Iron Curtain Speech), Westminster College, Fulton, Missouri March 5, 1946,- https://winstonchurchill.org/the-life-of-churchill/life/why-study-winston-churchill/ (20.09.2021)
13. coffey Luke The Heritage Foundation- https://www.heritage.org/global-politics/report/time-end-russias-veto-georgias-nato-membership?fbclid=IwAR0tWBdbQ6_UgTOkf-4N4jgOeDV5oL7HSlBN134MoSlwwKj-9CLpSVz1Ses (20.09.2021)
14. Qutelia Batu, Shota Gvineria, Devid Uko :America,s vital interests in Georgia: the case for engagement-https://warontherocks.com/2017/11/americas-vital-interestsgeorgia/?fbclid=IwAR3wbp_6FjTnyraXt1VX1yyV-2doyUYHcOx33fWQU3nZcTOsodHVsRQN28 (20.09.2021)

15. North Atlantic Treaty Organization-https://www.nato.int/nato-welcome/index.html (20.09.2021)
16. კუნჭულია ლელა „ საქართველო-ნატო: გზის შემოკლების შანსი“ https://www.radiotavisupleba.ge/a/sakartvelo-rusetis-shetankhmeba/29014396.html
17. https://1tv.ge/video/rasmusenis-ganckhadeba-politikuri-shefasebebi/

ოფიციალური დოკუმენტები

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2018- https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf (20.09.2021)
2. стратегия национальной безопасности российской федерации 2015- http://www.kremlin.ru/acts/bank/40391 (20.09.2021)
3. стратегия национальной безопасности российской федерации 2021- file:///C:/Users/user/Downloads/0001202107030001.pdf (20.09.2021)